Date Printed: 04/20/2009

JTS Box Number:	IFES_63
Tab Number:	120
Document Title:	1998
Document Date:	1998
Document Country:	Georgia
Document Language:	Georgian
IFES ID:	CE00700

D8120CBB-F324-43EA-BBDF-D4AFC325E784

ძირითადი საკითხები არჩევნებთან დაკავშირებით.

ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების (საკრებულოების) არჩევნები ჩატარდება კვირას, **1998 წლის 15 ნოემბერს.** ეს არჩევნები ისტორიულია, რამდენადაც კონსტიტუციის მიღების შემდეგ პირველად ხდება ქართველი ამომრჩევლების მიერ ადგილობრივი საკრებულოების არჩევა.

საარჩევნო უბნები გაიღება
დილის 7 სთ-ზე 20 სთ-მდე.

საქართველოს ნებისმიერ მოქლაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა არჩევნების დღეს და რეგისტრირებულია იმ დასახლებულ ადგილას, სადაც უნდა მოხდეს საკრებულოების არჩევა, უფლება აქვს კენჭი უყაროს კანდიდატებს. იძულებით გადაად-გილებულ პირებს არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ არჩევნებში.

პირებს, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ სცნო, მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა, მუდმივად ან დროებით იმყოფებიან საზღვარგარეთ არჩევნების დროს, არა აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

არჩევნები წარიმართება საყოველთაო, თანაბარი და პირდაპირი ხმის მიცემის საშუალებით და ბიულეტენის ფარულობის დაცვით. ამომრჩევლის თავისუფალი ნების მანიპულირების ნებისმიერი მცდელობა ზეწოლის, მოტყუებით, დაშინების ან ქრთა-მის მიცემის გზით კანონით არის აკრძალული.

თუკი თქვენ ხედავთ, რომ თქვენი საარჩევნო უფლებები ირღვევა, თქვენ გეძლევათ უფლება საჩივრით მიმართოთ შესაბამის საარჩევნო კომისიას ან სასამართლოს.

Country GEORGIA
Year 1998 Language GEORGIAN
Description VOTER EDUCATION INFORMATION LEAFLET FOR 1998 NATIONWIDE ELECTIONS FOR LOCAL COUNCILS
IFES developed/sponsored? YES

ეს ბროშურა მოამზადა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES), ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაწილეობით და დაფინანსებულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ.

15 ნოემბერი

1998

საოლქო და ადგილობრივი საკრებულოების არჩევნები

რას ვაკეთებთ არჩევნების დღეს

ნაბიჯი პირველი: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს წარუდგინეთ ამომრჩევლის ბარათი და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა (რეგისტრაციის მოწმობა) ან ყოფილი სსრკ პასპორტი სარეგისტრაციო ჩანაწერით. ეს საბუთები წარუდგინეთ აგრეთვე ამომრჩევლის ბარათის დარჩენის ან დაკარგვის შემთხვევაშიც.

ნაბიჯი მეორე: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი მოიძიებს თქვენს სახელს ამომრჩეველთა სიაში. იგი წარმოთქვამს თქვენს სახელს. თქვენ გთხოვენ ხელი მოაწეროთ ამომრჩეველთა სიაში ყოველი მიღებული ბიულეტენის სანაცვლოდ. თუ თქვენ ცხოვრობთ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, თქვენ მიიღებთ ქალაქის საკრებულოს არჩევნების ბიულეტენს. თუ თქვენ სხვაგან ცხოვრობთ საქართველოში, თქვენ მიიღებთ ორ ბიულეტენს, ერთს რაიონის, მეორეს კი ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებისთვის. თქვენ ხელი უნდა მოაწეროთ ამომრჩეველთა სიაში თითოეული ბიულეტენის მიღებისთვის.

ნაბიჯი მესამე: შემდეგ თქვენ გთხოვენ მიმართოთ საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ბიულეტენების განაწილებაზე. თქვენ მიიღებთ ყველა ტიპის თითოეულ ბიულეტენს არჩევნებისთვის, რომელიც ჩატარდება თქვენთან.

ნაბიჯი მეოთხე: შემდეგ თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ ხმის მისაცემ კაბინაში ან ხმის მისაცემად განკუთვნილ სპეციალურ ოთახში. თქვენ უნდა შეავსოთ თქვენი ბიულეტენი მარტომ და საიდუმლოდ.

ნაბიჯი მეხუთე: ბიულეტენის ტიპი, რომელსაც თქვენ მიიღებთ, დამოკიდებულია ამომრჩეველთა რაოდენობაზე თქვენს რაიონში და იმ უბანზე, სადაც აპირებთ ხმის მიცემას. თითოეულ მათგანში იქნება კანდიდატების სია ან პოლიტიკურ პარტიათა სია.

თუ თქვენი ბიულეტენი შეიცავს კანდიდატთა სიას, თქვენ აირჩევთ იმდენ კანდიდატს, რამდენი მანდატიც არის საკრებულოში. თქვენ არჩევანს გამოხატავთ არჩეული კანდიდატების სახელების გასწვრივ ნომრის შემოხაზვით. შევსების სისწორის დაცვის მიზნით ბიულეტენი შეიცავს შესაბამის ინსტრუქციებს.

თუ თქვენი ბიულეტენი შეიცავს პოლიტიკურ პარტიათა და ბლოკების სიას, თქვენი არჩევანი უნდა შეაჩეროთ მხოლოდ ერთ პოლიტიკურ პარტიაზე ან ბლოკზე. თქვენ უნდა შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი თქვენს მიერ არჩეული პოლიტიკური პარტიის ან ბლოკის სახელის გასწვრივ ნომრის შემოხაზვით და ყველა დანარჩენის გადახაზვის გზით. შევსების სისწორის დაცვის მიზნით ბიულეტენი შეიცავს შესაბამის ინსტრუქციებს.



რა მოხდება, თუკი შეცდომას დავუშვებ ბიულეტენის შევსებისას? წაუღეთ გამოსაცვლელად გაფუჭებული ბიულეტენი უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს.

ნაბიჯი მეექვსე: მას შემდეგ, რაც შემოხაზავთ თქვენთვის სასურველ კანდიდატს ან პარტიას, თქვენ მიაშურებთ საარჩევნო ყუთს და ჩააგდებთ მასში თქვენს ბიულეტენებს. მას შემდეგ რაც ჩააგდებთ ბიულეტენებს, თქვენ ვალდებული ხართ დატოვოთ საარჩევნო უბანი.